საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ნინო გოხელაშვილი
ელ-ფოსტა: nino.gokhelashvili@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0128, თბილისი, საქართველო

საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამედროვე დემოკრატიულ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა. მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები და წამყვანი საფინანსო ინსტიტუტები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ გაატარონ ისეთი პოლიტიკა, შექმნან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და შეიმუშაონ ისეთი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებას, რომ დროულად მიიღონ ინფორმაცია და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღონ მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

წარმოდგენილი ნაშრომი მომზადებულ იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების მონაწილეობის შესახებ არსებული ძირითადი დოკუმენტების, პუბლიკაციებისა და სხვა შესაბამისი წყაროების მიმოხილვისა და ანალიზის საფუძველზე. ძირითადი ნაწილი ეთმობა საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობას ადექვატური გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, ნაშრომში განხილულია ის სიძნელეები, რაც ამ პროცესს თან ახლავს და გასათვალისწინებელი ფაქტორები მისი ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე, ნაშრომი ეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას ამ კუთხით.